

## ერთმა გოლმა გადაწყვიტა...

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 30 ოქტომბერი.

"დინამო" (თბილისი) – "ზენიტი" (ლენინგრადი) 1:0 (0:0).

"დინამო": გოგია, ხიბანიშვილი, კანთელაძე, ხინჩგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე (ესებუა), კოპალეიშვილი, გუცაევი, დარასელია, წერეთელი.

"ზენიტი": ოლენინიკი, დეგტერევი, ლოხოვი, გოლუბევი, სტრეპეტოვი, ბულავინი, ორლოვი, ბელოვი, მარკინი, მელნიკოვი, ლაზარევი (კლემენტიევი).

მსაჭი: ვ. ვიხროვი (კიევი).

დუბლიორები – 3:0.

XIII ტურის მატჩის წინ ლენინგრადელი ფეხბურთელები თავიანთი სატურნირო მდგომარეობით სავსებით კმაყოფილნი ჩანდნენ. საგაზაფხულო ჩემპიონატში მე-13 ადგილის დაკავების შემდეგ, შემოდგომაზე, მათ გაცილებით უკეთ ითამაშეს, ადრევე შეასრულეს მთავარი გეგმა – უმაღლეს ლიგაში დარჩენა, მთელ რიგ შეხვედრებში აქტიურად, შედეგიანად იბრძოდნენ და თბილისში ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენლებად ჩამოვიდნენ.

"ზენიტის" ამოცანა ამ მატჩში ცხადზე ცხადად გამოიკვეთა პირველივე წუთებიდან: მას ფრე უნდოდა, ერთი ქულა. ამიტომ იყო, რომ გუნდმა დაცვაში ხეთი მოთამაშე განალაგა, ნახევარდაცვაში – ოთხი და წინ მარტოდ–მარტო დატოვა ერთი ფორვარდი, მიმდინარე ჩემპიონატის ბომბარდირი – მარკინი.

მარკინი, უდავოდ, კარგი ფეხბურთელია – ათლეტური აგებულებისაა, სწრაფი, მოძრავი, ტექნიკური, ზუსტი დარტყმის მქონე, მაგრამ რას გახდებოდა იგი ასეთ ავტონომიის პირობებში, როცა მისი გუნდის სხვა მოთამაშეები ღრმა ზურგში იყვნენ დაწეული, ეპიზოდურად, მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გადმოდიოდნენ წინ და იშვიათად აღწევდნენ სრულ იზოლაციაში მყოფ მარკინამდე? ერთი–ორჟერ ეს მოახერხა მელნიკოვმა და ამ დროსაც გადაჭრით ერეოდა საქმეში ხინჩაგაშვილი.

ერთი სიტყვით, დინამოელთა მეკარე მთელი ტაიმის მანძილზე უსაქმოდ იყო, გუნდს შეეძლო უხითათოდ, თამამად გაემალა იერიშები და 45 წუთის განმავლობაში თამაში ფაქტურად ცალ კარში მიმდინარეობდა, ოლეინიკის მხარეს.

მაგრამ არც ლენინგრადელთა მეკარეს დასდგომია მაინცდამაინც დიდი ჯაფა. მისი მცველები, რომელთა შორისაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა გოლუბევი, თავგამოდებით იბრძოდნენ საკარიმო მოედანზე, კარგად ეხმარებოდნენ ერთმანეთს და საქმე უშეალო საგოლე მომენტამდე არ მიჰყავდათ.

თბილისელებმა ყველანაირად სცადეს მეტოქის მძლავრი დაცვის დაძლევა, შეტევაში ნახევარმცველები და მცველები ჩართეს, ფლანგებიდანაც განავითარეს იერიში, ცენტრიდანაც, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს.

ცალ კარში გაგრძელდა თამაში მეორე ტაიმშიც. დინამოელები ისევ და ისევ ეძებდნენ გზას წარმატების მისაღწევად, "ზენიტი" ისევ თავის ნახევარზე იყო ჩაკეტილი. თამაში, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, გაიყინა.

და აი, 67-ე წუთი. იგი მხსნელი აღმოჩნდა მასპინძელთათვის. დარასელიამ კარგად ითამაშა მარცხენა ფლანგზე, მიაწოდა კარის წინ, სადაც მოულოდნელად და სწრაფად

შეიქრა ჩივაძე. ოლეინიკმა წამით დაიგვიანა წინ გამოსვლა, ჩივაძემ დაასწრო მას და ზუსტად დაარტყა ახლო მანძილიდან – 1:0.

ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა “დინამის”. სტუმრებმა საჩქაროდ შეცვალეს ტაქტიკა, მაშინვე გაათავისუთვლეს დაცვითი მოვალეობისგან თავიანთი თავდამსხმელები, მაგრამ მდგომარეობის ხსნა მათს ძალებს აღემატებოდა. თბილისელებმა მინიმალური ანგარიში ბოლომდე შეინარჩუნეს.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 2 ნოემბერი, 1976 წ.